№ 35
სამშაბათი, 15 თებერვალი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 35
სამშაბათი, 15 თებერვალი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

17 თებერვალს, ხუთშაბათს, ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის უგანათლებულესის თავადის

**მიხეილ მიხეილის ძის შერვაშიძის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.
(1—48—1)

**ქართული თეატრი**

ოთხშაბათს, 16 თებერვალს 1900 წ.

**ბენეფისი**

**ა. მ. კარგარელისა**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

**ებრაელის ქალი**

დრამა 5 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნი კარგარელი, ნებიერიძისა; ბ-ნნი ყიფიანი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ჭელიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

შაბათს, 19 თებერვალს, ბენეფისი, ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა ეფემია მესხის მონაწილეობით.

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთეს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი.** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუგაა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

**ექიმი**

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—97)

რადგან 6 თებერვალს

გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის

**„შუამავლის"**

წარმომადგენელთა წლიური კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, ამიტომ განმეორებითი კრება დაინიშნა 18 თებერვლისათვის, შუადღის პირველ საათზედ ქ. ოზურგეთში. კრება განიხილავს იმავე საგნებს, რაც პირველი კრებისათვის იყო დანიშნული და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(3—6.—3) მმართველი ს. ჭეიშვილი

**მთავრობის განკარგულებანი**

ზანგისის სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებლის მასწავლებელს ზედგინიძეს ებოძა კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 15 თებერვალს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში მოხდება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება.

*** დღეს, 15 თებერვალს, ტფილისის გუბერნატორის სადგომში ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს კრება მოხდება. ამ კრებას ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეც დაესწრება. კრება მიმდინარე საქალაქო საქმეების გარდა განიხილავს შემდეგს საკითხებსაც: 1) ტფილისის ქალაქის მოურავის და გამგეობის წევრთა პასუხის გებაში მიცემა სასჯელთა დებულების მე-406 მუხლის ძალით; სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველთა—კუზანოვისა და ხეროდინოვის, პასუხის გებაში მიცემა იმავე დებულების მე-354 მუხლის ძალით. 2) ტფილისის საბჭოს დადგენილება ხმოსნის თ. ნ. ზ. თუმანოვის პასუხის გებაში მიცემის შესახებ დასაფასებელ ოქმებში სიყალბის ჩადენისა გამო.

*** პარასკევს, 11 თებერვალს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში ამ საზოგადოების წევრთა კრება იყო. კრებას უნდა განეხილა აბრეშუმის თესლზედ სავალდებულო კონტროლის შემოღების საქმე. რადგანაც ყველა საგნების მოსმენა და განხილ-

## ფელეტონი

**მწერლობა საზოგადოდ**

Amicus Plato, sed magis amica veritas

(დასასრული *)

ერთს მაგალითს დავასახელებთ, თუმც ამ გვარი მაგალითი ჩვენში ბევრია. ისევ. თ. აკაკის შევეხებით, რადგან ბ-ნი აკაკი უფრო დაჯილდოვებულია ნიჭითაც და დიდი სამსახურიც გაუწევია საზოგადოებისათვის. მაგრამ ერთხელ კიდევ მაინც ვიტყვით, რომ ბ-ნი აკაკი სუსტი პუბლიცისტია და ფრიად სასურველია დროზედ დაანებოს თავი ამ ფორმას მწერლობისას. თ. აკაკი თითქოს სცდილობს დაამტკიცოს ეს თავისის „კრებულის" ყოველს ნომერში. ავიღოთ თუნდა 1899 წ. „კრებულის" მე-IX №-რი და ცოტაოდენი რამე ვთქვათ ამ ნომერში მოთავსებულ ბ-ნ აკაკის „ახლანდელი სიზმარისა" და საზღვარ-გარეთელის წერილის გამო. ამ ორ წერილს ერთი სული უდის, თითქმის ერთსა და იმავე ადამიანს დაუწერია. კილო წერისა, ფაქტებით სარგებლობა, ერთნაირი სიტყვები ორსავე წერილში ცხადად გვეუბნება, რომ ეს ორივე წერილი ან ერთ ადამიანს დაუწერია და ან ერთს დიდი გავლენა ჰქონია მეორეზედ.

ბ-ნ აკაკის მოჰყავს წერილი, რომელიც ვითომ ვიღაც მუშას „მწყემსის" რედაქტორის მ. დეკანოზ დ. ღამბაშიძისათვის გაუგზავნია. ამ წერილიდგანა სჩანს, რომ ბ ნს აკაკის ემუქრებიან იმისთანა დღე დააყენონ, რაც დღე დააყენეს ივანე მაჩაბელს. ამავე წერილს ასახელებს საზღვარ-გარეთელიც. ყოველი მკითხველი ამ წერილის წაკითხვის შემდეგ გაიცინებდა, ისე სასაცილოდ ეჩვენებოდა მუშის ოხუნჯობა. ბ-ნმა აკაკიმ კარგად იცის, რომ იგი მოსაკლავად არავის უნდა, მისგან წარმოდგენილ მტერსაც კი უნდა მისი დღეგრძელობა, თუმცა ბ-ნ აკაკის ზოგიერთის მოქმედების დამწუნებელი და გამკიცხველია. საიდგანა სჯერა ბ-ნს აკაკის, რომ ივანე მაჩაბელი შეგნებულის მტრობის მსხვერპლია. ამას ეწოდება ინსინუაცია და ამასთანავე ფაქტებით ურიგოდ სარგებლობა. მწერალი რომ არ დაწვრილმანდეს, დიდად საჭიროა, რომ დროის შესაფერისი განათლება ჰქონდეს. უამისოდ ტყუილა-უბრალოდ მოედება ლობეყორეს და უდროოდ დაჰკარგავს თავის გავლენას საზოგადოებაზე. ბ-ნი აკაკი, როგორც ყველასაგან ცნობილია, ქართულის ენის შექმნელია, ის არის მართლა ქართველების პუშკინი. თუ ზოგი რუსის კრიტიკოსი პუშკინის ნაწერებში ჰხედავს საზოგადოებრივ იდეალის სისუსტეს, ეს ხომ ცხადი დასანახავია დღეს ბ-ნ აკაკის პუბლიცისტურ წერილებში. ბ-ნი აკაკი დღეს თითქოს ჰლამობს იმისს გავერანებას, რისთვისაც თითონა ჰშრომობდა მთელის 30 წლის განმავლობაში. გადიკითხეთ კარგად „ახლანდელი სიზმარი" და დამერწმუნებით. ამ წერილში აუარებელს ნიმუშს იპოვით ბ-ნ აკაკის პოეზიის გაკოტრებისას. ამოვწერთ ზოგიერთ ალაგს.

„ვინ არისო, სწერს ბ-ნი აკაკი, ეს ვიღაც „სილოვანი" თუ „ფსხილოვანი", რომ საერო უფლებით აღუჭურავს თავი და დონ-ტატორულის კილოთი, გარიბალდის რიხით მიჰმართავს ერს?"...

„სახლში რომ შევედი და მივმართე საწოლს, უჩვეულო რამ ვნახე: დიდ-ძალ მკბენარს მოეყარა თავი ჩემ სკამ-ლოგინთან და ემზადებოდენ, რომ მომცვენოდენ საკბენად. ეს ამდენი ჭიანჭველები, ბაღლინჯო, ძაღლის ტკიპა, ჭიამყრალები და სხვანი საიდგან გაჩენილან? მაღლა ჭერიდგან ჩამოცვენილან, თუ კედლებიდგან გამომძვრალან?.. ავიხედე მაღლა და დავინახე, რომ ჭერთან ახლოს, ერთ შხამიან ობობას ქსელი გაება და გადმოიყურებოდა, მივხვდი, რომ ეს მკბენარები ყველა მისი მოგზავნილი და შემონასევი იყო!.. მეწყინა!.. დავაგდე ჩემი საწოლი ბინი, დავსტოვე ჩემი ოთახი და გავემართე სხვა კუთხით".

„მართალია ვერაგობას ძალა და გოლიათობა არ უნდა, პატარა მატლსაც შეუძლია შეპარვით გაიმარჯვოს და ჩვენც როგორ ვიტყვით, რომ ვერა გვავნებს რა თქო, მაგრამ მაინც რაც უნდა მოხდეს... რაც უნდა მოგველოდეს, მაინც არ ვკადრებთ ჩვენს თავს, რომ ჭია-მატლების საპასუხოთ და მოსაგერებლათ ფარ-ხმალი ავიღოთ ხელში!.. და რაც შეეხება მათ ტარტაროზს, იმ ობობის ქსელს რომ ამოფარებია, და იმ მორიელს, კუთხეში რომ მიკუნჭულა და კუდს იქნევს, ის კი სულ სხვა არის!.. და იმას ჩვენც იმასვე მოვახსენებთ, რასაც ზეპირ-სიტყვაობა ბაყათარს ეუბნება:

„გეყოფა, ოსო ბაყათარ,
ნულა რჯი წვრილ-ფეხობასა!
მარტო გამოდი საომრად,
ვნახავ შენს ვაჟკაცობასა"!..

მკითხველი ჰხედავს, რომ რაღაც სულ სხვა ფერისა, სხვა ხასიათისაა ეს წერილი. ამ გვარი გაჯიბრება, ბავშური მუქარა, საუბედუროდ, ეროვნული თვისებაა ჩვენის მწერლობისა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ წერილის ყოველ სტრიქონში ნიჭიერი ადამიანი სჩანს. თუმც ზემოხსენებული წერილი ბ-ნის აკაკისა ყოველსავე ღირსებას მოკლებულია, არ არის არც ლიტერატურული ეთიკა დაცული, ესტეტიკის მხრივაც ძლიერ სუსტობს წერილი, თან ცხადად ამჩნევს მკითხველი ბ-ნ აკაკის ავადმყოფოცნებას, რომელსაც ლამანჩელ დონ-კიხოტსავით რაღაც მტრები წარმოუდგენია, რომლებიც ვითომ შესევას უპირებენ, მაგრამ მაინც ცხადადა სჩანს ძლიერი ნიჭი, მხოლოდ ცუდად მიმართული, და მჭმუნვარებას ეძლევა თქვენი გული, რომ ამ ბუნებით დიდად დაჯილდოვებულმა ადამიანმა თავისს დროს ხელიც არ გაანძრია, ყურიც არ გაიბერტყა, რომ თითონაც შეეძინა რაიმე თავისის გონებისათვის, მტკიცე რწმენა და ხასიათი

*) იხ. „ივერია" № 34.

ვა კრებამ ამ საღამოს ვერ მოასწრო, კრება გადაიდო დღეს საღამოს 8 საათისათვის. ამ კრებაზედ საზოგადოების საბჭომ უნდა წარადგინოს თვისი დასაბუთებული მოხსენება აბრეშუმის თესლზედ კონტროლის შემოღების შესახებ.

*** როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, 1901 წლიდგან სამი წლისათვის კავკასიის საერობო ხარჯთაღრიცხვის პროექტი ფინანსთა სამინისტროში შემდგარ განსაკუთრებულ კომისიისათვის გარდაუციათ განსახილველად.

*** იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქალაქის თვით-მმართველობისათვის ახალის შტატების შემუშავება, უკვე დაუსრულებია მუშაობა. კომისია ამ დღეებში შეუდგება ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის მოხელეთა შტატების მოწყობის საქმის განხილვას.

*** ქალაქის სანიტარო-სამკურნალო საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ მომატებულ იქმნას მათდამი რწმუნებულ სამკურნალო დაწესებულებებში მოსამსახურე-მოხელეთა რიცხვი.

*** სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: იმ თანხას, რომელიც ყოველწლიწადს საქართველოს სეექსარხოსოს ეძლეოდა თავისს დაწესებულებათა შესანახად, მოემატოს კიდევ 24,874 მანეთი.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ხელ-მეორედ აღძრა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის წინაშე შუამდგომლობა სოფელ შილდაში წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსების შესახებ. წიგნთ-საცავის გამგედ იქნება თ. დ. რ. ვახვახიშვილი.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ-ნი კ. მ. ლინდენი 12 თებერვალს წავიდა ქ. ბათუმში ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის სარევიზიოდ.

*** ახალ-სენაკის სამაზრო მმართველობას ნება მიეცა დააწესოს დაბის უძრავ მამულების შემოსავალზე გარდასახადი ისე, როგორც საქალაქო მმართველობა აწესებს ხოლმე. დაწესებული იქმნება 10% შემოსავლისა. („ცნ. ფურც“.)

*** ქალაქის მეპურეებმა თხოვნა შეიტანეს ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქმნან იგინი ფურნეთა კედლების გალაქვისა და იატაკების ცემენტით გაკეთებისაგან. გამგეობამ მეპურეთა თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა და დაავალა სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს, რომ რაც შეიძლება მალე იქმნას შემუშავებული სავალდებულო დადგენილებანი საყასბოებისა და ფურნეების მოწყობისა და გაუმჯობესების შესახებაო.

*** 12 თებერვალს, ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 101 სახლში, 78 წლის მოხუცი უნტერ-აფიცრის ქვრივი მ. ივანოვისა უცებ გარდაიცვალა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

*** 12 თებერვალს, ნაშუადღევს 5 საათზედ, ფალავანდოვის ქუჩაზედ მოსეს არუთინოვის სახლში სპარსეთის ქვეშევრდომმა აჯი-ტაგი-ზიულფარ-ოღლიმ ხანჯლით მძიმედ დასჭრა თავისი ამხანაგი რიზა-მამედ-ოღლი თავსა, მარცხენა გვერდსა და ხელში. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს, ხოლო დამნაშავე-კი დაპატიმრებულია.

*** როგორც „კავკ.“-სი იუწყება, პოლიციის ბოქაულს ფირუმოვს დაუჭერია ესვიმონოვის ერთი მკვლელთაგანი, სპარსეთის ქვეშევრდომი საიათ-ავდიშ-ოღლი. ამ საქმის გამო დაპატიმრებულნი უკვე გამოტყდნენ და აღიარეს დანაშაული.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა მისწერა ყველა პოლიციის ბოქაულებს, რომ ცნობები გამომიგზავნეთ იმ ქუჩების შესახებ, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა იქმნენ შეკეთებულნიო.

*** ტფილისის სახაზინო პალატის მმართველი ბ-ნი ი. ვ. ვერეტენიკოვი პეტერბურგიდგან ტფილისში 20 თებერვლამდის ჩამოვა.

## ბ-ნ ვებერის მოხსენება ახალქალაქის მაზრაში მომხდარ მიწის ძვრის შესახებ

ეს მოხსენება ბ-ნმა ვებერმა საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებაზედ წაიკითხა 10 თებერვალს. ბ-ნ ვებერს ის ადგილები, სადაც მიწის-ძვრა მომხდარა, გამოუკვლევია ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მინდობილებით. ვებერს შეუსწავლია დაზიანებული შენობანი და აგრეთვე მიწის ნარღვევის მიმართულება, რათა ამ გზით გამოერკვია საიდგან დაწყებულა მიწის რყევა და სად გათავებულა. გამომკვლევლის აზრით, სოფ. არაგოვიდგან ჩრდილოეთით სოფ. ბეჟანოზამდე მიწის ძვრა წამოსულა აღმოსავლეთიდგან, სამსარის მწვერვალის მხრიდგან გოზილკილიკში და ხუმრისში—სამხრეთ-აღმოსავლეთიდგან, ახალქალაქში — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდგან; ხოლო სოფ. ტამბოვკასა და რადიონოვში—დასავლეთიდგან. ყოველ ამის გამო, ვებერი ამბობს, რომ მიწის რყევა დედამიწის ქვეშ 9 ვერსტის სიღრმიდგან დაწყებულაო. მიწის-ძვრის მიზეზი ვებერის აზრით, უკვე ჩანელებული ცეცხლის მფრქვეველი მთები ყოფილა, არამედ ის, რომ განელებული ზედაპირი მიწისა შეკუმშულა და ამ ზედა-პირს ქვეშ მიწას კეც-კეცად ადგილი უცვლია.

მიწისძვრისაგან დაზარალებული სოფლები მდებარეობს იმ ველზედ, რომელიც სამსარის მთის გაყოლებაზე გაჭიმული, სწორედ იმ ადგილას, სადაც უფრო ძლიერ რყეულა მიწა. ვებერის აზრით, ამ დროს რომ უქმე დღე და ქორწილები არა ყოფილიყო და ხალხი რომ გარეთ არ გამოსულიყო ზურნის ყურის საგდებლად, უბედურება უფრო დიდი იქმნებოდა და სიკვდილს თითო-ოროლა თუ გადარჩებოდა.

19 დეკემბრიდგან 30 იანვრამდე ამ ადგილას მიწა სულ 50-ჯერ რყეულა. ვებერს აღმოუჩენია, რომ ყველა დაზარალებულ სოფელში უფრო დაბლობებში მდებარე ადგილები დაზიანებულა. ამ მიწის ძვრის გამო ბევრგან წყაროები ამღვრეულა. ზოგი წყარო სულ გამქრალა, ზოგსაც წყალი მოჰკლებია. ბორჯომში ვერედ წოდებულ გეტერონეს წყარო გადიდებულა, და ეხლა ორჯელ მეტ წყალს იძლევა თურმე, ვიდრე წინად იძლეოდა. ასეთივე ცვლილება დასტურობია იქვე გოგირდის წყაროს. ამ წყაროს პირდაპირ მეორე მხარეს ახალ გოგირდის წყაროსაც-კი ამოუხეთქია.

რაც შეეხება იმას, თუ რაოდენ მანძილს გასწვდა მიწის-ძვრაო, ვებერს უთქვამს, ეს მანძილი სიგრძით 600 ვერსი იქნება, სიგანით 300 ვერსი, მიწის ძვრა მეტად ძლიერი იყო, ხოლო თუ ამ სიძლიერესთან შედარებით ბევრი ხალხი არ დაიღუპა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადგილი, სადაც უმთავრესად მიწა იძვრა, ნაკლებ არის ხალხით დასახლებული. თუ რამდენად ძლიერ იძვრა მიწა, ჩანს იქიდგან, რომ კარაკუზის მთიდგან ორი კლდე ჩამოირღვა და ეს ნარღვევები 10 ვერსტის სიშორიდგანა ჩანსო. ბშვარად, ამ ადგილას რომ ქალაქი ყოფილიყო, ქვა-ქვაზედ აღარ დარჩებოდაო.

# თეატრის მატიანე

„ალიაქოთი კეთილ შობილ ოჯახში“ კომ. 3 მოქ. და „ცელქები“—ვოდევილი.

ეს ორი პიესა ქართულმა დრამატიულმა დასმა კვირას, 13 თებერვალს წარმოადგინა ახალგაზდა არტისტის ქალის ანასტასია აბაშიძის საბენეფისოდ. თუმცა ეს მსახიობი ამ სეზონში პირველად გამოვიდა სცენაზედ, მაგრამ ამ თავითვე ისეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, რომ დრამატიულის საზოგადოების გამგეობამ საჭიროდ სცნო იმისთვისაც დაენიშნა ბენეფისი. სამწუხაროდ, ამ ბენეფისმა უშნოდ, ულაზათოდ და უსიცოცხლოდ ჩაიარა. სამწუხაროა ეს მით უფრო, რომ ამ საღამოს პიესის უხეიროდ წარმოდგენის მიზეზი ბ-ნი ვ. აბაშიძე იყო, რომელსაც ესოდენი სამსახური მიუძღვის ქართულის თეატრის წინაშე. ვერაოდეს ვერ წარმოვიდგენდით, თუ ბ-ნი აბაშიძე ასე უგულოდ მოეკიდებოდა ახალგაზდა ნიჭიერის მსახიობის ბენეფისს. პირ იქით, იმედი გვქონდა, რომ ყველა არტისტი დიდის გულმოდგინეობით მოეკიდებოდა წარმოდგენას, შრომასა და მეცადინეობას არ დაზოგავდა იმ ახალგაზდა ქალის ბენეფისისთვის, რომლისაგანაც ჩვენი თეატრი მერმისში ბევრს მოელის, მაგრამ, როგორაც ვსთქვით, იმედი არ გაგვიმართლდა. მეტად უკეთესი იქმნებოდა, ამ საღამოს აბაშიძე სულაც არ გამოსულიყო სცენაზედ.

დანარჩენ არტისტებს არა უშავდათ რა. საუცხოვოდ ჩაატარა პირველ პიესაში თავისი როლი ბ-ნმა გედევანოვმა. თვით მობენეფისე მეორე პიესაში უკეთესი იყო, ვიდრე პირველში. ანასტ. აბაშიძეს საზოგადოებამ სიმღერები რამდენჯერმე გაამეორებინა. მეორე პიესაში კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი კუნდელიც ვაჟის როლში. წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო. მობენეფისეს მრავალი საჩუქარი მიართვეს.

შემდეგი წარმოდგენა ქართულ დრამატიულ დასს ოთხშაბათს, 16 თებერვალს ექმნება. დანიშნულია ამ დღისთვის ქ-ნ კარგარეთელის ბენეფისი. წარმოადგენენ პირველად დრამას „ებრაელ ქალს“.

მოკეთე

## ბ-ნ ფალიაშვილის კონცერტი.

შაბათს, 12 თებერვალს, ტფილისის კლუბში გამართა კონცერტი ბ-ნმა ფალიაშვილმა. კონცერტში იღებდნენ მონაწილეობას ქ-ნი სოკოლოვისა, ბ-ნი კილშაუ, კოვალენსკი, აგასოვი, კ. ფოფხაძე და მოყვარულთა გუნდი ბ-ნ ფალიაშვილის დირიჟორობით. ბ-ნ ფალიაშვილმა გაათავა კურსი ტფილისის სამუსიკო სკოლაში და ეხლა ემზადება უმაღლესს სასწავლებელში, ე. ი. კონსერვატორიაში წასასვლელად სწავლის განსაგრძობად. სწორედ ამ საგნით იყო გამართული ეს კონცერტი. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ბ-ნი ფალიაშვილი ჰმღერწყობს თავისის ხოროთი, მაგრამ ისეთი საერთო თანაგრძნობა დაიმსახურა, რომ ამ მის უკანასკნელ კონცერტზედ დიდი საზოგადოება დაესწრო. ამას უფრო დიდი ყურადღება მივაქციეთ იმიტომ, რომ ბევრს ქართველთაგანს გაუმართავს კონცერტი, მაგრამ ამდენი საზოგადოება ჯერ არ გვინახავს, იმ კონცერტის გარდა, რომელიც „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“ იმართება ხოლმე ყოველ წლივ დიდად პატივცემულ ქნ. ო. თ. ჭავჭავაძის მეთაურობით.

ბ-ნ ფალიაშვილის ხორო, თუმცა ძალიან ცოტა ხანია ჰშრომობს, მაგრამ ამის კვალად კარგად არის მომზადებული. ეტყობა, რომ ბ-ნ ფალიაშვილისათვის ბუნებას მიუნიჭებია ის შნო

---

შეემუშავებინა.

დიაღ, სულ სხვა არის თან-დაყოლილი ნიჭი, მაგრამ შეუმუშავებელი თავისის მეოხებით; სულ სხვა არის, როდესაც თან-დაყოლილს ნიჭს დაჰმატებია შრომით შეძენილი ცოდნა, რაც მეტს ხალისსა და ინტერესს, მეტს ფიქრსა და ზრუნვას გამოიწვევს იმისას, რომ დროს არ ჩამორჩეს მწერალი, დროს სვლასთან ხელიდგან არ გაუშვას სამეთაურო დროშა წინ სვლისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მწერალის მშვიდად და ობიექტიურად დარჩენა, მხოლოდ ეს იხსნის მწერალს, რომ არ დაწვრილმანდეს, არ დაინახოს ქარის წისქვილები იქ, სადაც არა არის-რა, ან ხშირად პატიოსანი და ნიჭიერი კაციც ქია-მატლად არ მიიღოს; ამითი შეიძლება მხოლოდ დაცვა ლიტერატურულ ეთიკის ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის შესახებ ხორცება.

ვინ იცის, რაშია უკვდაობა და ჩვენ-კი მხოლოდ ერთი გვჯერა, რომ უკვდაობა უფრო აზრის ძლიერებაშია. პატიოსანი, საფუძვლიანი და გულწრფელი აზრი, სასარგებლო მოქმედებასთან შეთანხმებული, შეჰქმნის ადამიანს უკვდავად, რადგან მხოლოდ ამ გვარი აზრი ედება მალამოდ ადამიანის გულს, ვრცელდება და გადადის ერთის თაობიდგან მეორეზედ და ასე განუწყვეტლად. ასეთი აზრი ხდება საძირკვლად, რომელზედაც ამ აზრითვე მომზადებული ახალთაობა იწყებს შენობასა და განვითარებასა. ყოველი მოღვაწე და მწერალი ამ გვარის უკვდაობისთვის უნდა ჰფიქრობდეს, რადგან ეს საკმარისად აკმაყოფილებს იმისს ავად მყოფს თავმოყვარეობასაც და ამ გვარი მოქმედება ხომ მოთხოვნილება არის მართლიერებისა და წინსვლისა. უკვდაობის შეგნებულობა, მისი სიდიადე ბნელდება, იჩრდილება, როდესაც მწერალს, ან საზოგადო მოღვაწეს ქვეყანა მტრად წარმოუდგენია. როდესაც მწერალს ყოველი შენიშვნა, თუ შენიშვნა არ არის მწერალის აღმამაღლებელი, აშფოთებს და ამღელვარებს, შეუძლებელია მისი მშვიდობიანი აზროვნება და მოქმედება; განსახილველი საგანი ხშირად არა ჩნდება მწერალის წარმოდგენაში მთელის თავისის შინაარსით, პირადი ინტერესი და შურის ძიება თვალწინ იმისთანა ადამიანებს უყენებს, რომელნიც შეიძლება ხშირად არც დამნაშავენი არიან, და ლიტერატურული ნაწარმოები ჰკარგავს ყოველს იმას, რითაც-კი საინტერესო უნდა იყოს, და მშვიდობიანს განმარტებას საგნისას, მეტს გამომეტყველებას აზრისას და ღრმა შინაარსს.

ეს მოსაზრება სახეში მისაღებია და იმისს განხორციელებას ვურჩევთ არა მარტო ბ-ნს აკაკის. ახალთაობის წარმომადგენელთა შორისაც ბევრი გვყავს ავადმყოფ თავმყვარეობის მქონე მწერალნი. დარწმუნებულნი ვართ, რომ ავადმყოფი თავმოყვარეობა, მტკივნეული გრძნობიერება, ატეხილ-აღძრული ყოველ უბრალო და ბრალიან შენიშვნის გამო, შედეგია გონების სისუსტისა. საზოგადოდ, ღონიერი ყოველთვის ჰგრძნობს თავისს ღონეს და უბრალო გამოლაშქრებისა არ ეშინიან, ამასთანავე გონიერისა და განვითარებულ ადამიანის მხედველობა უფრო ფართოა, შორსგამხედველი, ასე რომ კარგად ამჩნევს ფართო სამხედველო მოედანზედ ყოველს საგანს, არჩევს შედარებით სიდიდეს ყოველის საგნისას და ამიტომ მარტო ერთი რომელიმე საგანი არ მიიპყრობს მთელს იმისს ყურადღებას. ამასთანავე ამ გვარი ადამიანი კარგად ჰხედავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პატიოსნებას, უმწიკვლო პირადობას. უმწიკვლო და პატიოსანი ბუნება მოღვაწისა მეტად საჭიროა პატარა საზოგადოებაში, რომელშიაც ყოველი ნაბიჯი მოღვაწისა ცნობილი და აწონ-დაწონილია. ეს მით უფრო მისაღებია სახეში, რომ ჩვენში პირადობის პატივი შეგნებული არ არის და როგორც-კი გვექნება შემთხვევა, მაშინვე წამოვაყვედრებთ ხოლმე ერთმანეთს ნაკლულევანებას.

ჩვენ გვინდა დავიცვათ პირადობის პატივი და ამისათვის ვთხოვთ მკითხველს თითონვე ჩაუკვირდეს ბ-ნ აკაკის „ახლანდელ სიზმარს“, რომლიდგან მხოლოდ ერთად ერთი სასარგებლო დასკვნა შეუძლიან გამოიტანოს ადამიანმა: ძლიერ ფრთხილად უნდა ვიყვნეთ ჩვენს შინაურ ცხოვრებაშიაც-კი, თორემ არა დაიმალება-რა და ადვილადაც წამოგვეყვედრება, რითაც ჩვენს მოქმედებას მნიშვნელობა დაეკარგება. წაიკითხეთ ის ალაგი, სადაც ბ-ნი აკაკი ჩამოსთვლის და ახასიათებს თავისს მოწინაღმდეგეებს. კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენთა მოღვაწეთათვის ძლიერ საჭიროა მეტი პატიოსნება, მეტი შეუმწიკვლელობა ხასიათისა, თორემ ყველას და მეტადრე ხალხს შეუძლიან გვითხრას, — „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ და ამითი ყოველი კარგი აზრიც სამოქმედო ძალის დაჰკარგავს და მიბაძვის სურვილს არ გამოიწვევს. დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ სასურველია ჩვენში ერთნაირი პატივი ჰქონდეს ბ-ნ აკაკისა და იმ „ობობას, ქსელს რომ ამოფარებია“, მაგრამ სიმართლის სიყვარულიც უნდა გვაიძულებდეს ვთქვათ გადაწყვეტით შემდეგი: რაც შეეხება იმ „ტარტაროზს, იმ ობობას, ქსელს რომ ამოფარებია, და იმ მორიელს, კუთხეში რომ მიკუნჭულა და კუდს იქნევს“, ის მართლა სხვა არის და იმასვე ნუ მოახსენებს ბ-ნ აკაკი, რასაც ზეპირ-სიტყვაობა ბაყაყთარს ეუბნება. ეს იმიტომ, რომ „ობობა“ პოეტიცა და პუბლიცისტიც თვალ-საჩინოა. პოეზიაზედ არა ნაკლები ალაგი უჭირავს დღეს პუბლიცისტიკას. მაგრამ პუბლიცისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემოქმედებითი ნიჭი, რომელიც ასე საჭიროა გუნდის ხელოვნებითი შედგენა-მომზადებისათვის. ეს ის ნიჭია, რომელსაც ბევრი მოკლებულია და ჰგონიათ, რომ რადგან ვიცით, — რა არის მინორი, მაჟორი, ტონიკა, დომინანტა, სუბდომინანტა, რა არის ინტერვალი, წაუკითხავთ მთელი ნუსხა ინტერვალებისა, თუ როგორი უნდა იყოს „პრიმა“, „სეკუნდა“, „ტერცია“ და სხვ. კანონები მუსიკისა, — უკვე აღარა გაუჭირდებათ რა სამუსიკო ასპარეზზედ და ზოგიერთნი, ამისთანა ანბანურის ცოდნით, კომპოზიტორის სახელსაც-კი იჩემებენ. ზოგნი ამისთანანი ოპერასაც-კი სწერენ თურმე. O tempora, o mores!

ბ-ნი ფალიაშვილი, როგორც ეტყობა, ამათთანაებს არ ეკუთვნის; თუმცა იგი იმათზედ მაღლა სდგას, მაგრამ მაინც უმაღლესს სამუსიკო სასწავლებელში წასვლა განუზრახავს, რომ საფუძვლიანად შეისწავლოს ის, რაც საჭიროა სერიოზულ მუსიკის მცოდნესათვის. ამისთანა ადამიანი ღირსია ხელის გამართვისა. კიდეც ამიტომ საზოგადოებამ ღირსეულად თანაგრძნობა აღმოუჩინა.

შეიძლება ზოგიერთებმა იკითხონ, რომ ბ-ნ ფალიაშვილის გუნდი სრულიად უნაკლულოაო? სრულიადაც არა. „მზესაც-კი აქვს ლაქებიო“, ნათქვამია და ფალიაშვილის მოყვარულთა გუნდს, რომელიც მთლად რუსებისაგან შესდგება, ქართულ სიმღერების შესრულებაში რომ ნაკლი ჰქონდეს, რა საკვირველია! დიახ, აქვს ნაკლი, მაგრამ ეს ნაკლი იმისთანაა, რომელიც ძალიან ადვილად გასასწორებელია და, ჩემის აზრით, ამის მიზეზი უფრო ის არის, რომ ბ-ნი ფალიაშვილი ტფილისში დაბადებულ-აღზრდილია და მას არა ჰქონია შემთხვევა ხალხისაგან მოესმინა ის ქართული ხალხური სიმღერები, რომელსაც მისი გუნდი ასრულებს. მის „თამარის დროშას“ ცოტა სიცოცხლე აკლია, „ლეკურს“ სიმკვირცხლე, „ნანინას“ სინაზ-სიდინჯე და არა-ქართული დაბოლოვება, და სხვანი, მაგრამ ეს ისეთი ნაკლია, რომელიც ნაკლად არც კი ჩაითვლება. ბ-ნს ფალიაშვილს რომ რამდენჯერმე მოესმინა ეს სიმღერები იქ, სადაც ამას მართლა წესიერად ჰმღერიან, ამ ნაკლს ადვილად აიცილებდა. არას ვიტყვი დანარჩენ მომღერლების შესახებ, რადგან ვილშაუს და კოვალენსკის გარდა საერთო ანსამბლს უმღერდნენ. დასასრულ გზა დავულოცოთ ბ-ნ ფალიაშვილს და ვუსურვოთ, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ დაჰბრუნებოდეს ჩვენს ქვეყანას და ნამდვილად შესდგომოდეს ჩვენის მრავალ-ფეროვან სიმღერა-გალობის შესწავლას.

ჩხიკვაძე

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

კიმბერლეის განთავისუფლების ამბავი რომ მისულა ინგლისში, ინგლისელები დიდს სიხარულს მისცემიან. მრავალს ქალაქებში ზარალები გამოუკიდნიათ. მოსამართლეები საქმეების განხილვას აჩერებდნენ თურმე და ინგლისის იარაღის გამარჯვებას აუწყებდნენ ხალხს. ნაფიცი ვექილები და დამსწრე საზოგადოება აღტაცებულის ხმაურობით ეგებებოდნენ ამ ამბავს. ლონდონში სიტის ზოგიერთ ადგილას ხმა-მაღლა გაიძახოდნენ თურმე, რომ ჩვენმა იარაღმა გაიმარჯვაო, მაგრამ ამაზედ უფრო ხმა-მაღლა ბირჟაზედ ჰყვიროდნენ.

— თუ როგორ მოხერხებულად მოქმედებენ ბურები და როგორის სისწრაფით გადადიან ერთი ადგილიდგან მეორეზე, ამას მშვენივრად გვისურათხატებს, სხვათა შორის, შემდეგი მაგალითი: კრონიეს ბანაკს ამ დღეებში ოთხ-კუთხივ გარს შემორტყმია ინგლისის ჯარი და შორიდგან დიდხანს ყუმბარებს ესროდა თურმე. ბანაკთან ახლოს მისვლას-კი ვერ ჰბედავდნენ ინგლისელები, თუმცა იქიდგან ერთი თოფიც არ გამოუსვრიათ. ინგლისელებს კარგად ახსოვდათ, რომ ბურები იზოგვენ ყუმბარებს, სანამ მტრის ჯარი არ მიუახლოვდებათ მათ. მაგრამ ინგლისელებს ამბავი მისვლიათ, რომ კრონიე თავისის ჯარით მდ. რიტზე არისო და სურსათით დატვირთული ინგლისელების მრავალი ურემი ჩაიგდო ხელშიო. ამნაირად აღმოჩნდა, რომ ინგლისის ჯარმა ბურებისაგან მიტოვებულს ცარიელს ადგილს შეალია იმდენი ყუმბარა. კრონიეს მოქმედება-კი სწორედ საკვირველება იყო, რადგან ხელიდგან გაუძვრა ინგლისელებს თავისი ჯარით, მძიმე ზარბაზნებით და სურსათით. ინგლისში ყველაფერზედ უფრო ისა სწყინთ თურმე, რომ ორი როტა ლაჩრულად დამორჩილებია ბურებს და ამას გარდა ავსტრალიის ერთი რაზმი სრულიად გაუწყვეტია მტერს.

— აქამდისინ სრულებით არ იყო ცნობილი, რამდენი კაცი დააკლდა ბურების ჯარს სხვა-და-სხვა ადგილას ბრძოლის დროს. ინგლისის გენერლები ერთობ აზვიადებდნენ მტრის ზარალს, ანუ იუწყებოდნენ ხოლმე, რომ „ბურებს დიდი ზიანი მოუვიდათ, ბევრად მეტი, ვიდრე ჩვენო“. ეხლა-კი ტრანსვაალის მთავრობამ ოფიციალური ანგარიში დაჰბეჭდა, რომლიდგანაც სჩანს, რომ 28 ნოემბერს სტორმბერგთან მომხდარს ბრძოლაში ინგლისელების მხრივ უოფილა 3000 კაცი, ხოლო ბურებს 1000 კაცი ჰყოლიათ. ბურებს დაჰხოციათ 5 კაცი, სამი მძიმედ დასჭრიათ და 13 — მსუბუქად. ბრძოლის ველზედ უპოვნიათ ბურებს ინგლისელების 30 მკვდარი კაცი და 55 დაჭრილი, ტყვედ წაუყვანიათ 672 კაცი; გარდა ამისა სამი მტრის ზარბაზანი დაუნარჩუნებიათ და მრავალი ყუმბარა.

მაგერსფონტეინთან ბრძოლის დროს ინგლისელებს დაუხოცეს და დაუჭრეს ბურებმა 2000 კაცი და 60 — ტყვედ წაიყვანეს, მაშინ როდესაც იმათ დაუხოცეს ინგლისელებმა მხოლოდ 60 კაცი და დაუჭრეს 159.

კოლენზოსთან ბრძოლაში 3 დეკემბერს ბურებმა დაჰკარგეს 8 კაცი, ინგლისელებს-კი დაუხოცეს და დაუჭრეს 3000 კაცამდე და ტყვედ წაიყვანეს 150 კაცი.

## დამავყრდა

თუ საზოგადოებაში პატივცემული არა ხარ, ნუ დაგყავს თან შენი ცოლი, შეიბრალე მისი თავ-მოყვარეობა.

ს. ყ—ნი

* * *

ხელი აღმიპყარ და აღმაორძინე, ზენარო, თუ სათნო გარ და სახიერ; დამკსენ და ქვესკნელს შთამთხიენ, უფალო, თუ მოვიძულო რუდუნება და გულსმოდგინება.

ლასურიძე

## გამოსადეგი ცნობა

ოთახის მცენარეების სარწყავად საუკეთესო წყალი მდინარისაა, ჭისა არ ვარგა. ხოლო თუ მდინარე არ არის, ისევ ის სჯობია, რომ ზაფხულში წვიმის წყალით მოირწყას, ხოლო ზამთარში — თოვლის წყალით. სითბო წყალს თანაბარი უნდა ჰქონდეს, რეომიურით 15°-ზედ არა ნაკლები და 30°-ზედ არა მეტი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 თებერვალი

**ლონდონი.** პრეტორიიდგან 9 თებერვალს იუწყებიან: „ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ 9 თებერვალს, დილით, ცნობა მოვიდა კოლსბერგის დასავლეთით მომხდარ ბრძოლის შესახებ“. შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ პეტრუსბერგთან დაიწყო ბრძოლა 8 თებერვალს დილით. მოელიან საშინელს ბრძოლას.

გენ. დევეტი დეპეშით იუწყება 8 თებერვალს პეტრუსბერგიდგან: „აქ მშვიდობიანობაა“.

8 თებერვალს ინგლისის ჯარებმა იერიში მიიტანეს ბურების პოზიციებზე, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ.

კრონიე იუწყება, რომ 8 თებერვალს ჩემის ჯარიდგან მოკლულ ჲ დაჭრილ იქმნა 14 კაციო. გენ. დევეტის ჯარს არაფერი დაჰკლებია. ფრომანი იუწყება, რომ 3-იდან 20 თებერვლამდე ინგლისელები თითქმის გარს შემომერტყნენ მდ. მოდდერთან; მაგრამ კვირას მცირე რაზმით გავაპე მტრის ჯარი ჲ გავედ მდინარეზე; ამის შემდეგ ცხარე ბრძოლა მოხდა. „ინგლისელები უკვე მოემზადნენ, — ამბობს ფრომანი ჩვენის ბანაკის ახალებად. ჩვენ გარს შემოგვერტყა 2500 ინგისელი, მთავარ ბანაკიდან 5 მილის მანძილზედ; მაგრამ გზა გავიკაფეთ და ღამე წავედით. ჩვენ მოგვიკლეს 7 და დაგვიჭრეს 16 კაცი; ინგლისელების ზარალი მეტია“. სხვა ცნობებით, ინგლისელებმა 8 თებერვალს რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ბურებზე კოდუსბერგთან, მაგრამ ყოველთვის უკუქცეულ იქმნენ. ამ დეპეშაშივე „რეიტ. სააგენტო“ ამბობს, რომ პეტრუსბერგი მდებარეობს 20 მილის მანძილზედ კოდუსრანდიდგან და 15 მილის მანძილზე პაადებერგიდან აღმოსავლეთით, ბლუმფონტეინში მიმავალ გზაზეო. ეს ცნობა შეეხება ალბად იმ ბრძოლას, რომელიც რობერტს ჰქონდა ბურების ჯარებთანაო.

„Stand.“-ი ამბობს: „ყოველივე მოწმობს ბურების ჯარების ერთ ადგილას შეგროვებასა და იქნება იმასაც, რომ ბურებს განზრახვა აქვთ დაიჭირონ გამაგრებული პოზიციები ორანჟეს რესპუბლიკის შუა გულში, რომლებზედაც ჩვენი ჯარები იერიშით უნდა მივიდნენ. თუ მივიღებთ მხედველობაში ბურების სიმამაცეს, რომელიც მათ აქამდე გამოიჩინეს, და თუ ისინი მოახერხებენ ჯარების შეერთებას, გაგვიჭირდება მათი დამარცხება, მიუხედავად იმ ძლიერის ჯარისა, რომელიც რობერტსსა ჰყავს.

„Times“-ი ამბობს: საეჭვოა, რომ რობერტსის წინააღმდეგ დიდი ჯარი გაეგზავნოთ ბურებს. როგორაც სჩანს ბურებს ნაკლებად წაუყვანიათ ჯარები ლედი-სმიტიდგან.

Daily News-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან 8 თებერვალს: „როგორც აქ მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, ტელეგრაფის მავთულები კრონიეს ბანაკსა და ბლუმფონტეინის შუა დაწყვეტილია“.

„Daily Tel.-ს“ ჩიველეიდგან ატყობინებენ 8 თებერვალს: „მას შემდეგ, რაც ბურები განდევნილ იქმნენ მდ. ტუგელის გაღმა მდებარე იმ პოზიციებიდგან, რომელიც იმათ გუშინ დაიჭირეს, ბურებმა ისევ აიღეს პელტორპის სიმაღლეები, საიდგანაც ხელს უშლიან ჩვენს ჯარებს და არ უშვებენ მდ. ტუგელზე“. იმავე გაზეთს პიტერმარიცბურგიდგან ატყობინებენ 10 თებერვალს, რომ პიტერსის მახლობლად, გუშინ დილით, ბრძოლა დაიწყო. ბულლერს წინ გადაეღობნენ ბურები და თოფისა და ზარბაზნების სროლა დაუწყეს.

**დურბანი.** აქ თან და თან უფრო ვრცელდება ხმა, რომ ლედი-სმიტი განთავისუფლებულიაო. აგრეთვე ხმა დადის, რომ კრონიე 8,000 ბურით, ძლიერის ბრძოლის შემდეგ, ინგლისელთ დაჰმორჩილდა, და რომ ბურებს მოუკლეს და დაუჭრეს 1,700 კაციო. დაჭრილთა შორის არის თვით კრონიეც. დაჭრილია აგრეთვე გენერალი კიტჩენერი მარცხენა ხელში. „რეიტერის სააგენტოს“ არავითარი ცნობა არ მოსვლია ამ ამბების შესახებ.

**ლონდონი.** „Daily Chron.“-ს კიმბერლეიდან ატყობინებენ: „მტრის ჯარის ერთი ნაწილი ზარბაზნებს ესვრის ჩვენს ბანაკსაო.

**პრეტორია.** 10 თებერვალი. ბრძოლის შესახებ 9 თებერვალს იუწყებიან: „ბურების შეერთებულ ჯარების უფროსი კოლსბერგში იუწყება, რომ ცხრა თებერვალს თავს დამესხა ძლიერი რაზმი. ასტყდა საშინელი ბრძოლა. ინგლისელებმა განიზრახეს პოზიციების იერიშით აღება და 300 იარდზე მოუახლოვდნენ ჩვენს ზარბაზნებს, მაგრამ მეტად დაზარალდნენ და იძულებულნი გახდნენ უკანვე დაწეულიყვნენ. ბურებს დაუჭრეს 1 კაცი. გენ. გრობლერიც ჩაიყოლიეს ბრძოლაში, მაგრამ ზარალი არა მოსვლია რა. ხმა დადის, რომ კრონიეს ბანაკის

---

რომ ძლიერი იყოს, მას ესაჭიროება საზოგადოდ ფილოსოფიური განათლება და ძლიერი ლოღიკა. თუ ამასთანავე პუბლიცისტებს ძლიერი გრძნობაც ასულდგმულებს, ეს ხომ მშვენიერია, რადგან, ჩვენის ღრმა რწმენით, გრძნობა და აზროვნობა განუყრელს კუთვნილებას უნდა შეადგენდეს ყოველგვარ მწერლობისას. ამისათვის ობობასთან გამკლავება ვაი თუ დამარცხება იყოს ბ-ნ აკაკისათვის.

ან რა აქვს ბ-ნ აკაკის იმასთან საქიდაო და სადავო?! პოეზიის სამეფოში ბ-ნი აკაკი ძლიერი იყო და იქმნება კიდეც, თუ ამ სამეფოში გამაგრდება, პირადს წვრილმან მოსაზრებას არ აჰყვება და გარდამეტებულ თავმოყვარეობის მტკივნეულობას არ გამოიჩენს. მოედანი ფართოა ყველასათვის, სამკალი ფრიად ბევრია, ოღონდ ყოველი მედგრად და პატიოსნად ჰმოქმედებდეს, გულწფელი იყოს და უპირველესად საზოგადო ინტერესები ჰქონდეს. თვით ჩვენი საზოგადოებაც იმდენად დაცემული არ არის ზნეობითა და გონებით, რომ ყოველს მოღვაწეს სამართლიანი მსჯავრი არ დასდოს და შესაფერი საკუთვნელი არ მიაკუთვნოს. კიდევ ვიტყვით, რომ დიდია ბ-ნის აკაკის მნიშვნელობა ჩვენს ლიტერატურაში, იგია შემქმნელი ჩვენის მდაბიურ და კოხტა ენისა. მაგრამ ამასთანავე ვშიშობთ, იქნება სიფრთხილე ვერ დაიჭიროს, შეურაცხ ჰყოს ლიტერატურული ეთიკა, რომელმაც შეიძლება ულამაზო, ვულგარული ქართული ენა გამოიწვიოს, რაც ჩირქსა სცხებს წმინდასა და მალხაზს საუნჯეს მისისავე ძველის პოეზიისას. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ბ. აკაკში ხდება თან და თან ცვლილება, რომელიც ძლიერ უშლის და უმწვავებს სალერღელს თავმოყვარეობისას იმისს უგზო უკვლოდ აფორიაქებულს გრძნობას. შველა ჲ ხსნა-კი მხოლოდ გრძნობათა და საფუძვლიან აზროვნობის შეთანხმებაში მოიპოვება.

თუ ბ-ნ აკაკის მართლა დაჰსდევიან „ტყიპა, ჰია, მატლი“, ჯერ ეს ხომ მართალიც არ არის და თუ აქ არის რაოდენადმე სიმართლე და სინამდვილე, ბ-ნმა აკაკიმ კარგად უნდა იცოდეს, რომ პატარა ცხოველები უწმინდურებას დასდევენ უფრო, უწმინდურება არის მხოლოდ მათი მასაზრდოებელი წრე და მასალა. მაგრამ ამასთანავე, როგორც გვაუწყებს სულ ახალი დარგი მეცნიერებისა — ბიოლოგია, რამდენადაც ცხოველი მარტივია, იმდენად დღე ნაკლებია და ბუნებაში რომ ჰარმონია და თანასწორობა იქმნას დაცული, პატარა ცხოველებს სისუსტისა და ხანმოკლე ცხოვრებისა და სიცოცხლის სამაგიეროდ მინიჭებული აქვთ საოცარი გამრავლების თვისება. ბუნების ამ გვარ ჰარმონიის წყალობით დიდებული თვისის დიადის დანიშნულებით ადამიანი, ვეეპერთელა სპილო ხანგრძლივ სცოცხლობენ, სამაგიეროდ მცირედ მრავლდებიან, უფრო აგებულობით მარტივი ცხოველები, როგორც, მაგალითად, თევზი და მეტადრე „ჰიამატლები“ და სხვა და სხვა ბაქტერია შედარებით ძლიერ დღე-ნაკლებნი არიან, სამაგიეროდ თუარებელი და ხშირი შთამომავლობა იციან. მაგრამ ტაძარი სიწმიდისა და უკვდავებისა მიუწვდენელია იმათთვის.

დედა-აზრი ჩემის წერილისა იყო აღმენიშნა, რომ გრძნობისა და საფუძვლიან აზროვნობის შეთანხმების აუცილებლობაა საჭირო, მეცნიერების ლამპარი უნდა ანათებდეს პოეზიის სამეფოს და პოეზიის ძლიერი გრძნობა უნდა ათბობდეს მეცნიერებას. ამ პირობების შესრულებაა მხოლოდ მწერალის იდეალი, მაგრამ ეს იდეალი ლანდის სახით იმოსება, როდესაც ავტორის თხზულებაში ავადმყოფ, მტკივნეულ თავმოყვარეობის კვნესა გაისმის, მეტადრე მაშინ, თუ ამ მტკივნეულობის მიზეზი არსაიდგანა სჩანს. გარდამეტებულმა ატკიებულმა თავმოყვარეობამ მეტი ალაგი დაიჭირა საზოგადოდ ჩვენს ლიტერატურაში და მეტადრე ბ-ნ აკაკის პოეზიაში და კრიტიკა მოვალეა ეს მოვლენა აღნიშნოს.

ე. ვაშაკიძე

ალ. ალეთით დიდი ბრძოლა არისო.

**პაარდებერგი.** ინგლისის არტილერია მთელი დღე ესროდა ყუმბარებს კრონიეს ბანაკს. გუშინ საღამოს ინგლისელთ მოუვიდათ დიდძალი სურსათი და სამხედრო მასალა. ხმა დადის, რომ ინგლისის პოზიციის ჩრდილოეთით მოქმედობს 2000 ბურებიო. გუშინ საღამოს ინგლისელებმა 250 მეტრზე მიუახლოვდნენ მდ. მოდდერის კალაპოტს და იპოვნეს იქ რამდენიმე მოკლული კაცი. ფრენჩმა ტყვედ წაიყვანა კიდევ 75 ბური.

**ბერლინი.** სხვა-და-სხვა გაზეთები იუწყებიან კერძო წყაროებიდან, რომ კრონიემ გააპო მტრის ჯარიო.

**პეტერბურგი.** თავ. ჭავჭავაძისა და იაკოვლევის დავის შესახებ, რომელთაგან უკანასკნელს ბრალდებოდა პირველის 60,000 მანათის მითვისება და რომელსაც ოლქის სასამართლომ გარდაუწყვიტა უფლებათა ახდა და ტობოლის გუბერნიაში გაგზავნა, სენატმა დაადგინა: გაუქმებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა და სასამართლოს დადგენილება და აგრეთვე სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება იაკოვლევის პასუხის გებაში მიცემის შესახებ.

13 თებერვალი

**პრეტორია.** „რეიტ. სააგენ.“-ს ატყობინებენ ბურების ბანაკიდგან, რომ ინგლისის ჯარები ზარბაზნებით გადავიდნენ მდ. ტუგელზე და თავს დაესხნენ ერიკლოს და მიდელბურგის ჯარებს; მაგრამ სასტიკის ბრძოლის შემდეგ იძულებულნი გახდნენ უკან დაწეულიყვნენო. მეორე დღეს ინგლისელებმა კვლავ განიმეორეს იერიში და კვლავ უკუ-ქცეულ იქმნენ.

**ლონდონი.** ბულლერი იუწყება, რომ 10 თებერვალს ბრძოლაში ჩემის ჯარიდგან მოკლულ იქმნა 3 აფიცერი და დაჭრილ 14; დაჭრილთა შორის გენ. უაინიც არისო. ბულლერი უმატებს, რომ ამ ჟამად არ შემიძლიან გამოვგზავნო დაწვრილებით ცნობები ბრძოლის შესახებ, რადგანაც ბრძოლა ჯერ არ დასრულებულაო.

რობერტსი იუწყება, რომ კლიპკრაალთან ბრძოლის დროს, 4 თებერვალს, დაჭრილ იქმნა 3 აფიცერი და 25 ჯარის-კაციო.

**ჟენევა,** ავსტრიის დედოფლის მკვლელმა ლუკენიმ განიზრახა დღეს საპატიმროს დირექტორის მოკვლა. ლუკენი ჩიოდა, რომ მას შემდეგ რაც ორმა პატიმარმა გაქცევა განიზრახა, სასტიკად გვეპყრობიან. როდესაც დირექტორმა პერენმა მოისმინა ლუკენის საჩივარი და გაბრუნდა, უკანასკნელი ეცა მას მოსაკლავად. ცოტა ხნის შებრძოლების შემდეგ, დარაჯებმა შეიპყრეს ბოროტ განმზრახველი და ჩასვეს იგი ძირის სართულის ცალკე ოთახში.

**ფილიპოპოლი.** როგორც კონსტანტინეპოლიდგან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, იქ დაუპატიმრებიათ: სახელმწიფო საბჭოს წევრი ისმაილ-ქემალ-ბეი, შემდეგ ის პირი, რომლის თაოსნობით გაეგზავნა ინგლისს თანაგრძნობის ეპისტოლე, და სხვა წარჩინებულნიც.

**ბერლინი.** რეიხსტაგი შეუდგა შინაგან სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის იმ მუხლის განხილვას, რომლის ძალითაც გადადებულია 10 მილ. მარკა პარიჟის გამოფენაზე გერმანიის განყოფილების მოსაწყობად. რეიტერმა უარ-ჰყო ის ხმა, ვითომც გადადებულ იყოს გამოფენის გახსნის ვადა. იმან სთქვა, რომ დაგვიანებული იქმნება მხოლოდ ზოგიერთ განყოფილებათა გახსნაო. გერმანიას უპირატესობა ექმნება სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. დღემდის არავითარი უთანხმოება არ მომხდარა გერმანელ და ფრანგ მუშათა შორისაო. ორატორმა მადლობა გამოუცხადა რეიხსტაგს გერმანელ ექსპონატების მაგიერ.

14 თებერვალი

**პაარდებერგი.** 10 თებერვალი. ჰაეროსტატიდგან ინგლისელებმა შეამჩნიეს ბურების ახალი შანცები; დღეს ინგლისელები ამ შანცებს ყუმბარებს დაუშენენ.

9 თებერვალს როგორც მდინარის ჩრდილოეთით, აგრეთვე სამხრეთით უმნიშვნელო ბრძოლა იყო. გენერალის კონსის ბრიგადა სამხრეთით სდგას, ხოლო გენერალი სმიტი ჩრდილოეთიდგან უპირებს თავს დასხმას ბურების ბანაკს.

ფრენჩი არტილერიით თავს დაესხა გორაკს, რომელზედაც კრონიეს ძლიერი რაზმია. ამ რაზმს ახალი ჯარი მიეშველა ლედი-სმიტიდგან. ბურები მოულოდნელად თავს დაესხნენ ფრენჩს, მაგრამ ამ უკანასკნელის ჯარმა უკუ—აქცია. ბევრი გაიქცა, ბევრი მოკლულ იქმნა და 50 კაციც ტყვედ ჩაიგდეს ინგლისელებმა. ეს გორაკი მშვენიერს და ძლიერ პოზიციას წარმოადგენს. დროებით მორიგების დროს მოლაპარაკება ჰქონდათ ბურებსა და ინგლისელებს. როგორცა სჩანს, კრონიე თანახმაა დაემორჩილოს ინგლისელებს, მაგრამ ახალგაზდა ტრანსვაალელი ბურები წინააღმდეგნი არიან. დანარჩენნიც თანახმანი არიან დამორჩილდნენ. ამისდა მიუხედავად საქმის ვითარება მაინც არ შეცვლილა. ბურები ბანაკის გარეშემო სიმაგრეებსა ჰმართავენ. ყველა ჰკვირობს, ბურების ვაჟკაცობას, მაგრამ ამასთან ყველა იმ აზრისაა, რომ ისინი ვეღარაფერს გააწყობენ და ვერ განთავისუფლდებიან: მხოლოდ ხალხი დაიხოცება და ფული დაიხარჯებაო. კრონიეს ბანაკის გარეშემო ადგილი მდინარისკენაა დაქანებული; უფრო მაღალს ადგილებს ჩვენი არტილერია ესვრის ყუმბარებს. კრონიე ჩვენის ჯარის პირდაპირა სდგას მდინარის ორსავე ნაპირზედ; ფრენჩის კავალერია წინა სდგას და ებრძოლება ბურებს. ფრენჩმა 450 ტყვე წაიყვანა, ამას გარდა მრავალი საქონელი, ცხვარი და ხარი. ღამე ინგლისის არტილერიამ რამდენჯერმე ესროლა ყუმბარები კრონიეს პოზიციებს. ინგლისელები თან და თან ყოველის მხრიდგან გარს ერტყმიან ბურებს.

**კოლენზო.** გუშინ და დღეს ინგლისის ჯარს ცხარე ბრძოლა ჰქონდა მტერთან, რომელსაც გორაკებზედ ძლიერი პოზიციები აქვს. გუშინ მთელის დღის განმავლობაში ჩვენის არტილერიის სროლამ ვერ შეარყია ბურები. დღეს ბრძოლა განახლდა. ინგლისელებმა ყუმბარები დაუშინეს მაღლობებს, რომლებზედაც ბურები არიან გამაგრებული.

**კიმბერლეი.** აქ მოსულმა კაცმა განაცხადა, რომ ბურებმა დაიჭირეს ბანაკი ფორტინსტრიმთანაო. ბურებს თან ორი ზარბაზანი აქვთ. მათ ხიდი დააქციეს.

**კონსტანტინეპოლი.** ისმაილ-კემილი ხელ-ახლა განთავისუფლებულ იქმნა; აგრეთვე სხვებიც.

**აპაარდებერგი.** 11 თებერვალი. კრონიეს მდგომარეობა ეხლა უფრო უნუგეშოა, ვიდრე სხვიმის როდისმე ინგლისის ზარბაზნები ზევიდგან დაჰყურებენ მდინარის სიმაღლეებს.

ბურების ბანაკიდგან მოსულმა კაცებმა სთქვეს, რომ ინგლისის ზარბაზნებმა დიდი ვნები მიაყენეს ბურებსაო როგორც ამათ განაცხადეს, კრონიე თანახმა დამორჩილდეს მაგრამ ახალგაზდა ტრანსვალელი ბურები წინააღმდეგნი არიან. ქალები და ბავშვები ბურებს თანა ჰყავთ ჯარში. რობერტსმა წინადადება მისცა მათ, გავიდნენ იმ ადგილიდგან სადაც ბრძოლაა, მაგრამ ეს წინადადება ბურებმა არ მიიღეს.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა შემდეგს იუწყება: „ნატალ. მოსული ბურების რაზმი გუშინ თავს დაესხა ჩვენს დარაჯებს. ბურებს ბევრი ჯარის-კაცი მოუკლეს და დაუჭრეს, ასამდე კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. ჩვენ 9 კაცი მოგვიკლეს და 29 დაგვიჭრეს. მეტუენი იუწყება, რომ 10 თებრვალს ჩვენმა ჯარმა ბარკლი-უესტი დაიჭირაო“.

პეტერბურგის ბირჟა, 11 თებერვალი.

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ. ველისა | გაყიდვ-ისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 218 |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91¾ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 94 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97½ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | 90 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 295½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 276 |

### წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ ქ-ნთ თამარ დიმიტრის ასულს წერეთელს, მართა ივანეს ასულს, ელისაბედ ბიჭიას ასულს აბაშიძეებს და ბ ნ ზურაბ ალექსანდრეს ძეს წერეთელს, რომელთაც გადმომცეს საჩხერის სამკითხველოსთვის მათ მიერ სოფ. ქალაში გამართულ წარმოდგენის შემოსავალი შვიდი მანეთი.

საჩხერის სამკითხველოს გამგენი ყ. ჩხეიძე, იასონ ლამბაშიძე

—

უგულითადეს მადლობას მოვახსენებ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას, რომელმაც უსასყიდლოდ მომაწოდა სამი მანეთის ქართული წიგნები.

ჯავახი გლეხის შვილი თევდორე ბერიძე

—

როგორც „ივერიის“ მკითხველთ მოეხსენებათ, ს. პატარძეულში დავაარსე წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ზოგიერთებმა ამ საქმის განხორციელებისათვის ხელი მომიწყეს როგორც სიტყვით, აგრეთვე საქმით. სხვათა შორის ქ-ნებმა მარიამ და ანასტასია ლეონიძეებმა, ანნა და კატო ბილანიშვილებმა და ნატო ცხვედაძისამ გადმომცეს 270 წიგნი (ზოგიერთს წიგნებს თავისა და ბოლოს ფურცლები აკლია), ორი დავთარი წიგნების ჩასაწერად, ბეჭედი და ფულად 42 მ. 40 კ. გარდა ამისა „შრომის“-ს ამხანაგობისაგან დავიხსენი წიგნების შკაფი, რომელიც შეეკვეთნათ ბ-ნთ სანდრო ბილანიშვილსა და ტიტიკო ბურთიკაშვილს 25 მანეთად. „შრომის“ გამგეს სიტყვით, ეს შკაფი ღირს 30 მ, მაგრამ 5 მანეთით ნაკლებ დაუთმო წიგნთ-საცავს. ამაში ბეთ მიეცათ 12 მანეთი, დანარჩენი 13 მანეთი მე გარდავეცი. დიდს მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც თანაგრძნობა აღმომიჩინა ამ საქმეში. ამ ჟამად წიგნთ-საცავი დაარსებულია და უკვე ჰმოქმედობს.

პავლე ყუშიტაშვილი

# განცხადებანი



## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 15 ამა თებერვალს, დილის 12 საათზედ, დანიშნულია საჯაროთ ვაჭრობა **ქალაქის საყასბოს გასაახლებელ-შესაკეთებლად 3385** მან. ღირებულ სამუშევრის იჯარით გასაცემად. ვაჭრობის მსურველთ ყოველი ამ საქმის შესახები პირობები შეუძლიანთ განიხილონ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმის გარდა. (4—6.—4)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ ამ 1900 წლის 17 თებერვალს, დილის 12 საათზედ, ქალაქის გამგეობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა პოლიციის მე-9 ნაწილში ავჭალისა და ანდრეევის ქუჩების შესართავთან გამართულ ყანთარისა და ყანთრის სამხრეთით მდებარე ქალაქის მიწის, რომელზედაც სახლე ფარდულია გაკეთებული, იჯარით გასაცემად.

მსურველთ ყოველისავე ამ საქმის შესახები პირობები შეუძლიანთ ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში განიხილონ ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—2)

ქ. ბათუმში დაარსებული

**ძმ. ჩილინგირიანის**

## კანტორა

უცხადებს კავკასიის საზოგადოებას, რომ **ჰყიდის**

## აბრეშუმის თესლს

ბაღდადის ტეჰრსა და საფრანგეთის ყვითელს პირველ ხარისხის პარკისასთესლები ბანდროლიანია, დაბეჭდილი და შემოწმებული საბრეშუმო სადგურის მიერ. (7—32—6)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს** საყოველთაოდ, რომ **28 მარტს 1900 წელს მოხდება საჯარო ვაჭრობა**—სიტყვიერად და დაბეჭდილ კონვერტებით,—ქალაქის (აბესალომისებურის) **ორ-სართულიან აგარაკის გასასყიდად** ეზოთი და მიწით, ზომით 203 ოთხ-კ. საჟენი. აგარაკი ბორჯომშია, ვორონცოვის ქუჩაზედ, პარკის მახლობლად. აგარაკთან ერთად იყიდება ყოველივე მოძრავი ქონება, რაც იქ არის: ავეჯეულობა, სამზარეულო, საჩაიე და სხვა ნივთები. მიწა აგარაკს დათმობილი აქვს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის მიერ 22 დეკემბერს 1851 წელს დამტკიცებულ ბორჯომში აგარაკისთვის მიწით სარგებლობის შესახების წესების თანახმად.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან პირობები გამგეობის კანცელარიაში გასინჯოს ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 10-დგან 2 საათამდე.

დაბეჭდილი კონვერტები მიიღება 1900 წლის 28 მარტამდე შუადღის 12 საათამდე; კონვერტში უნდა იყოს: გირაო 2000 მანეთი, სრული სახელი, გვარი, მამის სახელი და ადრესი იმისი, ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს და უმაღლესი ფასი, რომლის გადახდასაც ისა ჰკისრულობს. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების იმ მსურველთ, ვინც ქალაქის გარეთ სცხოვრობენ, მოთხოვნილებისამებრ შეიძლება პირობები გაეგზავნოს გასაცნობად. (5—6.—4)

## ქუთაისში

განზრახვა აქვთ იყიდონ არა დიდი სახლი ანუ მიწა ტფილისის ქუჩის მახლობლად.

ვისაც სახლისა ან ადგილის გაყიდვა ჰსურს, თავისი წინადადება გაჰგზავნოს გასაყიდ სახლისა ანუ ადგილის ფასის აღნიშვნით ქუთაისის ფოსტის კანტორაში Н. А. Ч.-ს სახელობაზედ. (2—40—1)

## იძლევა იჯარით

სალხინო სასეირნო ბაღი

ახალ წყლის-პირის ქუჩის და ვეტცელის ქუჩის კუთხეში, ტფილისის კრუჟოკის საზაფხულო სადგომის პირდაპირ, პოლიციის მე-10 ნაწილში.

საიჯარო პირობათა შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში ბ-ნ ტერ-ასატუროვთან. (5—39—3)



Дозволено цензурою, Тифлисъ 14 Февраля 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე